ეს ორი და სხვა მრავალი

სარკეში ჩავიხედე და ტუჩები მოვილოკე. სარკე პატარა იყო, მაგრამ სახის სრულად დანახვა კი შევძელი და მეტი არც არაფერი მინდოდა და არც არაფერი მომეკითხებოდა. ჩემი ერთადერთი მისია ხომ ამქვეყნად მშვიდობის დამყარება იყო. ასე გამზარდეს და ასე გავიზარდე. ვიჯექი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გარეგნობაში იყო რაღაც ისეთი, რაც მგზავრებს ჩემდამი პატივისცემით განმსჭვალავდა. არ ვიცი გრძნობდნენ სადაც მივდიოდი თუ ჩემს თანდაყოლილ სიმშვიდეს უხრიდნენ ქედს, მაგრამ მე კი სიამაყით ვივსებოდი, თუ რა თქმა უნდა შეიძლებოდა ჩემი რაიმეთი შევსება. ყველა დანარჩენი ეჭვი უკვე სცდებოდა ჩემი უფლება-მოვალეობების ფარგლებს.

მატარებელი გაჩერდა რატომღაც ზუსტად იქ, სადაც უნდა გაჩერებულიყო. არც უფრო წინ და არც უფრო უკან. ზუსტად იქ, სადაც ის იდგა. იდგა და მთელ ჩემს განვლილ თუ გასავლელ ცხოვრებას ფეხქვეშ თელავდა. იყო ამაში რაღაც ტრაგიკული. და რადგან ტრაგიზმიც ჩემს უფლება-მოვალეობების საზღვრებს სცდებოდა, თავი ავარიდე და ხელზე დაწერილ მისამართს დავხედე. რაღაცნაირად ვზღუდავდი საკუთარ რადიუსს.

- გამარჯობა. მე...

- ვიცი, ვიცი. სახეზე გეტყობათ, დედათქვენის ასლი ხართ პირდაპირ.

- მე... მადლობა უნდა გითხრათ თუ?

- თქვენს გარეგნობაში არის რაღაც ისეთი...

- მშვიდობიანი.

მელოტმა განსხვავებულად ჩაიღიმა, ისევე განსხვავებულად, როგორი განსხვავებულიც იყო თვითონ, მისი ნაცნობი დედაჩემი, მე, მეზობლის ორყურა კატა, ოთხფეხა ძაღლი, ცხრათავიანი გველეშაპი და მეცამეტე გოჭი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით. თუ რა თქმა უნდა ჩვენს სამყაროში ვინმე შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე განსაკუთრებით.

ხელი ჩამომართვა და იგრძნო, რომ ეს ხელი არ ეკუთვნოდა მის მშვიდობიან სამყაროს. ფართოყვრიმალებიან სახეზე ალმური მოეკიდა. არ ვიცი ჩემი ყვითელი კაბის გამო თუ იმის, რომ ჩემთან ომის გამოცხადებას უკრძალავდა უფლება-მოვალეობები. განსხვავებული უფლება-მოვალეობები. ისეთივე განსხვავებული, როგორც დედაჩემის გამოგონილი აღზრდის სტილი.

დავემშვიდობე და მივხვდი, რომ ზუსტად ასე ემშვიდობება ერთი ადამიანი მეორეს, ყოველთვის, როცა სიტუაცია არ სცილდება ნორმის ფარგლებს. სწორედ იმ ნორმის, ოდესღაც, ჩემს დაბადებამდე რომ ადამიანებმა დააწესეს.

დედაჩემი ამომბდა, რომ თუ მინდოდა ჩემი კვალი დამეტოვებინა ამ ცხოვრებაში, ის უნდა მეკეთებინა რასაც სხვები არ აკეთებდნენ. მინიმუმამდე უნდა დამეყვანა და შესაძლებლობის შემთხვევაში გამექრო ყველა ის ნიშანი, რაც სხვა გოგონებთან, სხვა მელინდებთან მაკავშირებდა. ამიტომ გამიჭირდა იმ წითელი ლაქის აღქმა ერთ ყველასგან განსხვავებულ დილას რომ ახლადგაღვიძებულმა აღმოვაჩინე. დედამ მიკიბა, მოკიბა. ეგრე ხდებაო, ყველა გოგოს ემართებაო, შენ

მაგაზე არ იდარდო ეგ არაფერიო. ძნელია ცამეტი წლის გოგონას აუხსნა ბუნების საიდუმლო. თან ყველას ემართებაო. ასე იყო თუ ისე, მაშინ პირველად მოვილოკე ტუჩები კმაყოფილების ნიშნად.

დედა რაც თავი მახსოვს ომს მოთქვამდა და მშვიდობას ღაღადებდა. მეც მშვიდობისმყოფელად მზრდიდა და ჩემი განსხვავებულობის დაცვას მასწავლიდა. აქაო და მამაშენი მაგას შეეწირაო. მშვიდობა ყოველთაო.

ახლა უკვე 23 წლისას, მშობელის პრემიის მფლობელს ინდივიდუალური განვითარებისა და აწ უკვე განვითარებულთა დაცვის დარგში, ის მიკვირდა მელოტის ოფისში ყველა ორ ფეხზე რატომ დადიოდა, თვალებს რატომ ახამხამებდა და ერთმანეთან საურთიერთობოდ მეტყველებას რატომ იყენებდა. უფრო კი ის გამიკვირდა შენობიდან გამოსულს იგივე მზერა რომ შემეფეთა, რომელმაც ორი საათის წინ ტვინი დამიბურძგლა და სადგურიდან კუდამოძუებული გამომაგდო. ის იყო ხორბლისფერი და ასდიოდა ვანილის სუნი. მე ვიდექი ჩემი ყვითელი კაბით და გიჟივით ვუქნევდი ხელებს ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობს და ხორბლისფერს. აქ იყო ტრაგიზმიც, ეჭვიც, მსგავსება ადამიანებს შორის და ყველაფერი, რაც არ შეეფერებოდა ჩემს უფლება-მოვალეობებს.

ოფისის პირდაპირ იდგა კაფე, რომლის მეპატრონე იყო ისეთი ჩია და გულღია კაცი, როგორიც შეიძლება ყოფილიყო პენი ლეინი. კაფეში შეკრებილიყო ახალგაზრდობა, რომელთა აქტივობის დევიზი შეიძლებოდა ყოფილიყო - პროტესტის პროტესტის პროტესტი. კაფე იდგა ზუსტად თავის ადგილას და სხვა არაფერს შეეძლო ყოფილიყო ასეთი თვითმყოფადი.

- დედაშენმა ალბათ ვერ გათვალა ხო მელინდას რო გარქმევდა.

- ვერ გათვალა კი არა, არ გათვალა.

- ვერ თუ არ, ამას არ აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა. მთავარია რომ გქვია და მე აქ ვარ, შენც აქ ხარ და ყველა დანარჩენი.

- ახლა სულ რომ მითხრა ერთი დედის შვილები ვართო, არც ეგ გამიკვირდება.

- მე და დედაშენი?!

- შენ და მე და დედაჩვენი.

- აეწყო ყველაფერი

- ზუსტად.

- ზუსტი არაფერია

- არაფერი შეიძლება იყოს უფრო ზუსტი, ვიდრე ახლა და ამჟამად მე და შენ, ჩვენს შორის მდგარი მილიონობით მსგავსით.

- და მეტი სიზუსტისთვის, ეს ყველაფერი მათემატიკურად რომ გამოვსახოთ იქნება...

- $2 + \infty$

- ზუსტად

- არაფერი არ არის ზუსტი.

და წამოვედით ჩვენს სახლში. დავსხედით და დავლიეთ ჩაი. გვინდოდა ნამცხვარი, რომელიც არ გვქონდა იმიტომ, რომ მე დამეზარა მაღაზიაში შესვლა. ზარმაცი ხარო და თავი დავუქნიე, მეწყინა კია ასე მალე რომ შემატყო. ვისხედით და მე უაზროდ ვათამაშებდი ჩემი ყვითელი კაბის საკინძეს. ის თავისას. ნეტავ რამე თქვასთქო და ვაი ამ გაფიქრებას. დაიწყო და შემჯორა. მე ყველაფერი შემიძლიაო. აიდენ კლაიდენ იხ ლიბენ დას მაკჰობენო. ერთხელაც ყველა ენაზე ავლაპარაკდებიო. აქცენტი ქონდა და ყველაფერი. ვიფიქრე, ოღონდ ეხლა გაჩუმდეს და ჩემს ფერფლს მაგის ეზოში მიმოვფანტავთქო. მე გიშველიო და მგონი ენაზე იკბინა. დეტალებში არ მახსოვს არაფერი. უფ, შენ თურმე მაგრად გიჭირს და ვერაფერსაც ვერ იზამ, მაგრამ მე მაინც მიყვარხარო. გამიხარდა. რა უნდა მექნა, რომი ჩვენ არ გვქონდა და კოკა-კოლა და თავს ხო არ მოვიკლავდი?!